



პამიდორის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა
აპრილი-მაისის თვეებში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრი

2020

აპრილის მეორე დეკადა

მცირე ფერმერული მეურნეობისთვის

ჩითილების 10 სმ სიმაღლიდან

ჩითილების წამლობა კონტაქტური სპილენძის შემცველი ან სხვა ფუნგიციდებით: **კურზატი** (სპილენძის ქლორჟანგი + ციმოქსანილი)-2-2,5 კგ/ჰა, ან **კუპროფლო** (სპილენძის ქლორჟანგი)-1,75-2,0 კგ/ჰა, ან **იროკო** (სპილენძის ჰიდროქსიდი)-3 კგ/ჰა, ან **კუპროქსატი** (სამფუძიანი სპილენძის სულფატი)-3-5 ლ/ჰა, ან **ანტრაკოლი** (პროპინები)-1,5-2 კგ/ჰა, **ბორეკაფი** (ბორდოს ნარევი)-5კგ/ჰა, **პოლტიგლია** (ბორდოს ნარევი)-5კგ/ჰა, ან **კუპერვალი** (ბორდოს ნარევი)-5კგ/ჰა, ან **ბორდო კაფარო ზღუ** (ბორდოს ნარევი)-5კგ/ჰა

+

შესხურება საჭიროების შემთხვევაში მწერების (ფრთათეთრა, სამხრეთ ამერიკული მენადმე ჩრჩილი-*Tuta absoluta*) საწინააღმდეგო ინსექტიციდებით: **აქტარა** (თიამეტოქსამი)-0,08-0,12 კგ/ჰა, ან **ლანატი** (მეთომილი)-1,25 ლ/ჰა, ან **ავანტი** (ინდოქსაკარბი)-0,25 ლ/ჰა, ან **პროკლეიმი** (ემამექტინ ბენზოატი)-0,3-0,4 კგ/ჰა, ან **დეცის ფლუქსი** (დელტამეტრინი)-0,25-0,5 ლ/ჰა

მაისის პირველი დეკადა

პამიდორის ღია გრუნტში გადარგვის შემდეგ

გადარგვიდან 3 დღეში წამლობა ფესვის და ღეროს სიდამპლეების წინააღმდეგ: **პრევიკურ ენერჯი**

(პროპამოკარბი ჰიდროქლორიდ +ალუმინის ფოსფატი)-2,0-4,0 ლ/ჰა, ან **აპრონი XL** (მეფენოქსამი)-2,0-4,0 კგ/ჰა - ნიადაგის მორწყვა 0.2% სამუშაო ხსნარით თესვამდე და თესვის შემდეგ.

მცენარის 15-20 სმ მიღწევისას შესხურება სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ: **ბრავო**

(ქლოროტალონილი) , **რიდომილ გოლდი** (მანკოცები+მეფენოქსამი)- 2,5 კგ/ჰა, **რიდონეტი**

(მანკოცები+მეფენოქსამი)- 2,5 კგ/ჰა, **ჩემპიონი** (სპილენძის ჰიდროქსიდი)-2,5 კგ/ჰა, ან **პატამილი**

(მეტალაქსილი+მანკოცები)-2,5 კგ.

+

შესხურება მავნებლების კომპლექსის წინააღმდეგ: **ამპლიგო** (ქლორანტრანილ პროლი+ ლამბდა

ციპალოტრინი)-0,25-0,4 ლ/ჰა, ან **აქტარა** (თიამეტოქსამი)-0,08-0,12 კგ/ჰა, ან **დეცის ზღუ**

(დელტამეტრინი)-0,25-0,4 ლ/ჰა, ან **კონფიდორ მაქსი** (იმიდაკლოპრიდი)-0,04-0,05 კგ/ჰა, ან

კარატე ზეონი (ლამბდაციპალოტრინი)-0,1 ლ/ჰა, ან **პროტეუსი** (თიაკლოპრიდი+ ლამბდაციპალოტრინი)-0,5-0,7 ლ/ჰა, ან **პერფექტო** (იმიდაკლოპრიდი+ ლამბდაციპალოტრინი)-0,15-0,2 ლ/ჰა.

მაისის მეორე დეკადა

შესხურება დაავადებების წინააღმდეგ სპილენძის შემცველი პრეპარატებით - პერგადო, კურზატი კუპროქსატი, ბორდო კაფარო ზღუ, პოლტიგლია, ბორდოფლო ნიუ, ბორდო ლუქსი და სხვა.

მაისის მესამე დეკადა

ყვავილობის დასაწყისი

შესხურება ნაცრის საწინააღმდეგო, ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო ფუნგიციდებით: ქვადრისი (აზოქსისტრობინი)-0,4-0,6 ლ/ჰა- ნაცრისა და ფიტოფტორას საწინააღმდეგო ერთდროული მოქმედება, ან კაბრიო ტოპი (პირაკლოსტრობინი+მეთირამი)-2,0 კგ/ჰა - ნაცრისა და ფიტოფტორას საწინააღმდეგო ერთდროული მოქმედება, ან აფეტი (პენტიოპირადი)-1,75 ლ/ჰა -ნაცრისა და სეპტორიოზის საწინააღმდეგო ერთდროული მოქმედება + საჭიროების შემთხვევაში (ხვატრები, ბუგრები, ჭიჭინობელები, ფრთათეთრა) შესხურება ზემოთ მოყვანილი ინსექტიციდებით.

შენიშვნა: რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).